

შ.პ.ს. აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის
საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო
საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში- (ლარი).

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	7
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	7
ფინანსური ინსტრუმენტები -----	7
ძირითადი საშუალებები -----	9
არამატერიალური აქტივები -----	9
მარაგები -----	9
შემოსავლები -----	10
ხარჯები -----	10
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	10
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები -----	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	11
პირობითი ვალდებულება -----	11

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“,
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	2024	2023	2022
აქტივები	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები	460 196	344 079	116 629
სავაჭრო მოთხოვნები	158 293	159 452	159 125
მარაგები	83 628	68 386	77 662
სხვა	80	80	80
სხვა მიმდინარე აქტივები	53 150	45 904	55 113
სულ მიმდინარე აქტივები	755 347	617 900	408 609
ძირითადი საშუალებები	1 589 069	1 596 133	1 578 519
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2 344 416	2 214 034	1 987 128
ვალდებულებები	1569	1 581	1857
სავაჭრო ვალდებულებები	76 430	84 145	57 692
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	73 701	62 810	72 775
საგადასახადო ვალდებულებები	28 228	15 544	62 263
სხვა ვალდებულებები	69 391	69 391	71 248
სულ ვალდებულებები	249 320	233 471	265 835
კაპიტალი	241 748	241 748	241 748
საკუთარი კაპიტალისააქციო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	472 011	357 478	85 089
გადაფასების რეზერვი	1 381 337	1 381 337	1 394 456
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2 095 096	1 980 563	1 721 293
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 344 416	2 214 034	1 987 128

დირექტორი: კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი : მ. კალანდაძე

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
სულ ამონაგები	1 893 463	2 010 820
მომსახურების გაწევიდან	1 893 463	2 010 820
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 092 457	-1 066 111
საერთო მოგება	801 006	944 709
დასაქმებულთა ანაზღაურება	-504 547	-457 783
ცვეთა და ამორტიზაცია	-21 329	-12 578
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-167 620	-222 442
სულ საოპერაციო ხარჯები	(693 496)	(692 803)
საოპერაციო მოგება	107 510	251 906
სხვა შემოსავალი	7 024	-13 342
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	114 534	238 563
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	114 534	238 563

დირექტორი:

კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 980 563	1 721 293
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	114 534	238 564
კაპიტალის ცვლილებები		20 706
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2 095 096	1 980 563

დირექტორი:

კ.ძიმისტრიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
	130 327	287 430
ფულად სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 900 822	2 018 896
სულ ფულად ნაკადების შემოდენება	1 900 822	2 018 896
შემოსავალ მომსახურებიდან	1 900 822	2 018 896
სხვა შემოსავალი		
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	(1 770 495)	(1 731 466)
მოწოდებლებისთვის გადახდილ თანხები	(445 250)	(437 528)
შრომის ანაზღაურება	(1 137 141)	(1 066 928)
ოჯარო		
კომუნალური	(78 290)	(97 851)
გადასახადები	(32 732)	(22 098)
სხვა ხარჯი	(77 082)	(107 061)
ფულად სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითად საშუალებების შეძენაზე გასული თანხები	(14 210)	(59 980)
სულ ფულად სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები		
შემოსავალი სესხებიდან		
მიღებული ინვესტიციები		
გაცემული დივიდენდები		
წმინდა ფულად სახსრები	116 117	227 450
ფულად სახსრები პერიოდს დასაწყისისთვის	344 079	116 629
ფულად სახსრები პერიოდს ბოლოს	460 196	344 079

დირექტორი:

კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 243123455.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობა (საავადმყოფოების საქმიანობები).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, სურამი.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო.

კომპანიის დირექტორი კახაბერ ძიმისტარიშვილი

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტები ტერმინების განმარტებები:

-**აქტივის თვითღირებულება** არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის

წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

- თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

-უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

-ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

-ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

-მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

-კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

-მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

-საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

-მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ შემოსავლებს. (თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება)

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

-კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

-ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

-საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

-პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელ

-მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები -**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა

2025 წლის 10 სექტემბერს.

შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი„
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	2024	2023	2022
აქტივები	ლარი	ლარი	ლარი
აქტივები ფული და ფულის ეკვივალენტები	460 196	344 079	116 629
სავაჭრო მოთხოვნები	158 293	159 452	159 125
მარაგები	83 628	68 386	77 662
სხვა	80	80	80
სხვა მიმდინარე აქტივები	53 150	45 904	55 113
სულ მიმდინარე აქტივები	755 347	617 001	408 609
ძირითადი საშუალებები	1 589 069	1 596 133	1 578 519
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2 344 416	2 214 034	1 987 128
ვალდებულებები	1569	1 581	1857
სავაჭრო ვალდებულებები	76 430	84 145	57 692
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	73 701	62 810	72 775
საგადასახადო ვალდებულებები	28	15 544	62 263
სხვა ვალდებულებები	69 391	69 391	71 248
სულ ვალდებულებები	249 320	233 471	265 835
კაპიტალი	241 748	241 748	241 748
საკუთარი კაპიტალისაქციო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	472 011	357 478	85 089
გადაფასების რეზერვი	1 381 337	1 381 337	1 394 456
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2 095 096	1 980 563	1 721 293
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 344 416	2 214 034	1 987 128

დირექტორი:

კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
სულ ამონაგები	1 893 463	2 010 820
მომსახურების გაწევიდან	1 893 463	2 010 820
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 092 457	-1 066 111
საერთო მოგება	801 006	944 709
დასაქმებულთა ანაზღაურება	-504 547	-457 783
ცვეთა და ამორტიზაცია	-21 329	-12 578
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-167 620	-222 442
სულ საოპერაციო ხარჯები	(693 496)	(692 803)
საოპერაციო მოგება	107 510	251 906
სხვა შემოსავალი	7 024	-13 342
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	114 534	238 563
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	114 534	238 563

დირექტორი:

კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 980 563	1 721 293
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	114 534	238 564
კაპიტალის ცვლილებები		20 706
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2 095 096	1 980 563

დირექტორი:

კ.ძიმისტრიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2024	2023
	130 327	287 430
ფულად სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 900 822	2 018 896
სულ ფულად ნაკადების შემოდინება	1 900 822	2 018 896
შემოსავალი მომსახურებიდან	1 900 822	2 018 896
სხვა შემოსავალი		
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	(1 770 495)	(1 731 466)
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები	(445 250)	(437 528)
შრომის ანაზღაურება	(1 137 141)	(1 066 928)
იჯარა		
კომუნალური	(78 290)	(97 851)
გადასახადები	(32 732)	(22 098)
სხვა ხარჯი	(77 082)	(107 061)
ფულად სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გასული თანხები	(14 210)	(59 980)
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები		
შემოსავალი სესხებიდან		
მიღებული ინვესტიციები		
გაცემული დივიდენდები		
წმინდა ფულად სახსრები	116 117	227 450
ფულად სახსრები პერიოდს დასაწყისისთვის	344 079	116 629
ფულად სახსრები პერიოდს ბოლოს	460 196	344 079

დირექტორი:

კ.ძიმისტარიშვილი

ბუღალტერი :

მ. კალანდაძე